ღია მმართველობა საქართველოს

2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა

სარჩევი

შესავალი 3

ღია მმართველობა საქართველოს კოორდინაცია 4

ღია მმართველობა საქართველოს რეფორმები 7

მუნიციპალიტეტების მონაწილეობა OGP-ის ადგილობრივ პროგრამაში (OGP Local) 10

ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი 12

ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ვალდებულებები 14

1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესება – რეფორმის მეორე ტალღა 14

2. „ღია მონაცემების აქტის“ მიღება 28

3. სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა 30

4. მოპოვებითი მრეწველობის სექტორში გამჭვირვალობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა 32

5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უზრუნველყოფა 35

6. საცხოვრისიდან გამოსახლების საქმეებზე სტატისტიკის მეთოდოლოგიის დახვეწა და მონაცემების გამოქვეყნება 37

7. საცხოვრისის პოლიტიკის ძირითადი საკითხების განსაზღვრა სოციალური დაცვის რეფორმის საკანონმდებლო ჩარჩოში 41

8. ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობა 43

9. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ინკლუზიური მიდგომების გაძლიერება 45

10. გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცება მუნიციპალიტეტებში 48

შესავალი

საქართველოს მთავრობა მმართველობის ღიაობას, გამჭვირვალობას, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას დემოკრატიული საზოგადოებისთვის ფუნდამენტურ ღირებულებებად მიიჩნევს და ურყევად განაგრძობს ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership – OGP) პრინციპების დამკვიდრებას საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემაში.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელიც 2011 წელს OGP-ის შეუერთდა და უკვე განხორციელებული ოთხი სამოქმედო გეგმის ფარგლებში, არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა.

2014 წელს საქართველო OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრი გახდა, ხოლო 2016 წელს – თანათავმჯდომარე სახელმწიფო 2017-2018 წლების ვადით. როგორც OGP-ის თავმჯდომარე ქვეყანამ, საქართველომ 2018 წლის 17-19 ივლისს OGP-ის მეხუთე გლობალურ სამიტს უმასპინძლა. ღონისძიებას 70-ზე მეტი ქვეყნის, ასობით სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აკადემიური წრეებისა და მედიის წარმომადგენელი დაესწრო. 2019 წლის აპრილში კი საქართველომ OGP-ის მმართველი კომიტეტის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, სადაც გერმანიასთან და ინდონეზიასთან ერთად გაიმარჯვა და მმართველი კომიტეტის წევრად 3 წლის ვადით დარჩა.

წინამდებარე დოკუმენტი საქართველოს რიგით მეხუთე, 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმაა, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ აღებულ 10 ვალდებულებას მოიცავს.

სამოქმედო გეგმის მიზანია გაუმჯობესდეს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის ხარისხი, გაძლიერდეს საზოგადოების წინაშე სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების მექანიზმები და გაიზარდოს ჩართულობის შესაძლებლობები.

ღია მმართველობა საქართველოს კოორდინაცია

ქვეყანაში ღია მმართველობის პროცესის ინკლუზიურად წარმართვის მიზნით, 2014 წელს ჩამოყალიბდა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი, როგორც პირველი მუდმივმოქმედი საკოორდინაციო მექანიზმი, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო დაწესებულებებს (OGP საქართველოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებს), ადგილობრივ არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებს. ფორუმის მთავარ მიზნად კი გაიწერა ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმის შემუშავება და შესრულების მონიტორინგი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 აპრილის №197 დადგენილების[1] თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ფუნქციად განისაზღვრა ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს წევრობის კოორდინირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, აგრეთვე, ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი, ანგარიშგება და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა. შედეგად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის ქვეშ შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული - **საჯარო მმართველობის სამმართველო, რომლის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად ღია მმართველობის რეფორმის ანალიტიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერა განისაზღვრა.**

ღია მმართველობა საქართველოს პროცესში ჩართული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებითა და მათთან მჭიდრო თანამშრომლობით, საჯარო მმართველობის სამმართველოს ინიციატივით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 თებერვლის №110 დადგენილებით,[2] ღია მმართველობის საკითხებზე მთავრობის პირველი მაღალი რანგის სათათბირო ორგანო - **ღია მმართველობა საქართველოს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა** (იხ. ცხრილი 1). OGP საქართველოს ფორუმი შენარჩუნდა, როგორც საბჭოს მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი. ახლადშექმნილი საბჭოს დებულების მიხედვით:

[1] „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 აპრილის №197 დადგენილება, ხელმისაწვდომია აქ.
[2] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 თებერვალს №110 დადგენილება ხელმისაწვდომია აქ.

- ⇒ საბჭოს ხელმძღვანელობის უფლებამოსილება ორ თანამომხსენებელს შორის ნაწილდება, რომელთაგან ერთი სახელმწიფო უწყებების, ხოლო მეორე - არასამთავრობო სექტორის მხრიდან იქნება წარდგენილი
- ⇒ საბჭოს სრულუფლებიანი წევრის სტატუსით უერთდებიან არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები
- ⇒ ნათლად ყალიბდება ღია მმართველობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წესი, რომლის თანახმად, თანაბარი უფლებები ენიჭებათ სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს
- ⇒ სახელმწიფო უწყებებს ეკისრებათ ვალდებულება ღია მმართველობის დღის წესრიგის შედგენის პროცესში დასაბუთებული არგუმენტაციით უპასუხონ სამოქალაქო სექტორის რეკომენდაციებს
- ⇒ საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე.

გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციის გათვალისწინებით, ასევე შეიცვალა ფორუმში/საბჭოში არასამთავრობო ორგანიზაციების გაწევრების წესი. ცვლილების შესაბამისად, ფორუმში ახალ არასამთავრობო ორგანიზაციათა გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად თავად ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები იღებენ. დამატებით, OGP-ის საერთაშორისო სამდივნოს რეკომენდაციით, ფორუმის/საბჭოს ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებული პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და ბუნდოვანების გამოსარიცხად, შემუშავდა კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე არასამთავრობო ორგანიზაციები ახალი წევრის შერჩევას შეძლებენ.

ცხრილი 1: საბჭოს წევრები

საბჭოს მუდმივი წევრები	
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი	საბჭოს თავმჯდომარე
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი	საბჭოს წევრი
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე	საბჭოს წევრი
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორი	საბჭოს წევრი
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის (ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს) უფროსი	საბჭოს წევრი, საბჭოს მდივანი
საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლების მქონე პირები	
ა(ა)იპ – საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს ხელმძღვანელი პირი	
ა(ა)იპ – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი პირი	
ა(ა)იპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი პირი	
ა(ა)იპ – ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი პირი	
ა(ა)იპ – სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ხელმძღვანელი პირი	
ა(ა)იპ – საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ხელმძღვანელი პირი	
ა(ა)იპ – ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ ხელმძღვანელი პირი	
საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლების გარეშე მონაწილე პირები	
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე	
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი	
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი	
ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე	
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ღია მმართველობის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე	
საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი	

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და მისი დაფინანსებული პროექტების წარმომადგენლები
გაერო-ს განვითარების პროგრამის წარმომადგენელი
ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენელი
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენელი
ა(ა)იპ - ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენელი
ა(ა)იპ – მწვანე ალტერნატივა
ა(ა)იპ – სოციალური სამართლიანობის ცენტრი
ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვა პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლები

ღია მმართველობა საქართველოს რეფორმები

საქართველო OGP-ში გაერთიანების წლიდან აქტიურადაა ჩართული ისეთი რეფორმების დანერგვაში, რომლებიც ხელს უწყობს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლებას, ინოვაციური მიდგომების დანერგვასა და მოქალაქეებისათვის საჯარო სერვისების საყოველთაო ხელმისაწვდომობას.

OGP-ის სამოქმედო გეგმების ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადებასთან ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად განხორციელებულ რეფორმებს შორისაა:

- **მოქალაქის პორტალი - My.gov.ge** - სახელმწიფო სერვისების უფრო მარტივად და უსაფრთხოდ, ერთიან სივრცეში მიწოდების მიზნით, საქართველოში 2012 წლიდან ამოქმედდა ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი – MY.GOV.GE, რომელიც დღეისთვის 200 000-ზე მეტ მომხმარებელს ემსახურება, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ დისტანციურად, სახლიდან გაუსვლელად, მიიღონ საჯარო და კერძო სექტორის 700-ზე მეტი მომსახურება. პორტალი ღია მმართველობა საქართველოს პირველი სამოქმედო გეგმის ფარგლებში შეიქმნა.

- **მონაცემთა პორტალი - Data.gov.ge** - ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმით საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულების ფარგლებში, შეიქმნა ღია მონაცემების პირველი

პორტალი - www.data.gov.ge, რომელიც განკუთვნილია ღია მონაცემებისა და შესაბამისი მეტა-მონაცემების გამოსაქვეყნებლად. პორტალზე ასევე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ამ მონაცემების გამოყენების შესახებ. ეს ბიზნესს, არასამთავრობო და სამთავრობო დაწესებულებებს საშუალებას აძლევს შეუფერხებლად ისარგებლონ საჭირო მონაცემებით, მათი გამოყენებით კი შექმნან აპლიკაციები, ელექტრონული სერვისები და შედეგად, მიიღონ ეკონომიკური სარგებელი.

- **ინოვაციური ანალიტიკური ვებ-პლატფორმა - ბიუჯეტის მონიტორი (Budget Monitor)** - გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, შექმნა ანალიტიკური ვებ-პლატფორმა - ბიუჯეტის მონიტორი (www.budgetmonitor.ge), რომლის ძირითად მიზანს საჯარო ფინანსების მონიტორინგის პროცესში გადასახადის გადამხდელთა როლისა და მთავრობის ანგარიშვალდებულების ზრდა წარმოადგენს. ბიუჯეტის მონიტორმა ფართო აღიარება მოიპოვა საერთაშორისო საზოგადოებაში და მოკლე დროში გახდა რამდენიმე გამორჩეული ჯილდოს მფლობელი.[3]

- **თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების გამჭვირვალობა და მონიტორინგის სისტემა** - თანამდებობის პირის მიერ წარდგენილი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის სისტემა, ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2017 წლიდან ამოქმედდა. სისტემა დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის სისრულისა და სისწორის შემოწმებას ემსახურება. აღნიშნული მექანიზმი შესაძლო კორუფციული, მათ შორის, ინტერესთა კონფლიქტების შემთხვევების გამოვლენის ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფოს ანტიკორუფციულ და კეთილსინდისიერების პოლიტიკაში. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის არსებობა ხელს უწყობს ეფექტური და ეფექტიანი საჯარო მმართველობის განხორციელებას, საჯარო ფინანსების კეთილსინდისიერად ხარჯვასა და გადაწყვეტილებების მიღებას საჯარო ინტერესის საფუძველზე. დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის წარმატება პროცესების გამჭვირვალობამ და ღიაობამ განაპირობა.

[3] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ.

- **საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA)** - ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოების მიზნით, დაინერგა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასება **-** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2019 წლის 29 მაისს განხორციელებული ცვლილების თანახმად,[4] ორგანულ კანონს დაემატა 17[1] მუხლი, რომლის შესაბამისად კონკრეტულ სფეროებზე მიმართულ ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში. აღნიშნული ცვლილება 2020 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №35 დადგენილებით[5] დამტკიცდა „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია“ და დაიწყო ამ მიმართულებით საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების ეტაპობრივი გაძლიერება.

- **მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ საინფორმაციო პორტალი - Sdg.gov.ge** - ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, შემუშავდა და ამოქმედდა მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მონიტორინგისა და შეფასების სისტემა - www.sdg.gov.ge. პორტალის მიზანია საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მიმდინარეობის და ასევე, მიზნებთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ.

- **საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეების მონაწილეობა** - საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეების თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტრუმენტი საქართველოში პირველად 2015 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტში დაინერგა. მოგვიანებით, ინოვაცია სხვადასხვა მუნიციპალიტეტმაც გაიმეორა. 2019 წელს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ ბათუმის მუნიციპალური სერვისების სააგენტოსთან თანამშრომლობით შექმნა ელექტრონული პლატფორმა idea.batumi.ge, რომელიც ქვეყანაში მონაწილეობითი ბიუჯეტირების ერთ-ერთ წარმატებულ

[4] საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, მუხლი 17[1], საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია აქ.
[5] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №35 დადგენილება რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია აქ.

მოდელს წარმოადგენს და მოქალაქეებს საშუალებას აძლევს თავად წარადგინონ და აირჩიონ ქალაქის განვითარების პროექტები.

- **ღია მმართველობა საქართველოს პირველი ოფიციალური ვებგვერდი** - 2020 წელს, USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში“ (USAID/GGI) მხარდაჭერით, შეიქმნა მომხმარებელზე ორიენტირებული ღია მმართველობა საქართველოს პირველი ვებგვერდი - www.ogp.gov.ge, რომელზეც თავმოყრილია ინფორმაცია ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს გაწევრიანებიდან დღემდე მიმდინარე რეფორმების შესახებ. ვებგვერდი მოიცავს მონიტორინგის პლატფორმას, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს ონლაინ რეჟიმში მიადევნონ თვალი ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმების განხორციელებას.

მუნიციპალიტეტების მონაწილეობა OGP-ის ადგილობრივ პროგრამაში (OGP Local)

მნიშვნელოვანი აქტივობები განხორციელდა OGP-ის პროცესებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ჩართულობის მიმართულებით. 2016 წლიდან OGP განსაკუთრებულ ყურადღებას და რესურს უთმობს მუნიციპალიტეტებში ღია მმართველობის პრინციპების დანერგვას, შესაბამისად, OGP საქართველოს სამდივნო მუდმივად თანამშრომლობს მუნიციპალურ ორგანოებთან, რათა მათ შეძლონ OGP-ის პლატფორმის ეფექტურად გამოყენება.

ადგილობრივ თვითმმართველობებს აქვთ OGP-ის პროცესებში ჩართულობის ორგვარი შესაძლებლობა:

1. **აიღონ ცალკეული ვალდებულებები ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში** (ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში 11 მუნიციპალიტეტის 13 მუნიციპალური ორგანო მონაწილეობდა. მათ ღია მმართველობის მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ვალდებულება შეასრულეს) ან,

2. კონკურსის გზით, **გახდნენ OGP-ის ადგილობრივი პროგრამის (OGP Local) წევრები** და შეიმუშაონ საკუთარი სამოქმედო გეგმა მუნიციპალიტეტის დონეზე.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საქართველოს სამი მუნიციპალიტეტი (**ოზურგეთი, ხონი** და **ახალციხე**) OGP-ის ადგილობრივი პროგრამის წევრებად აირჩიეს. შესარჩევ პროცესში მსოფლიოს მასშტაბით, 112 ქალაქი მონაწილეობდა. წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, შესარჩევმა კომისიამ მათგან 56 აირჩია პროგრამის წევრად. შესარჩევ პროცესში მუნიციპალიტეტებს ანალიტიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას უწევდნენ OGP საქართველოს სამდივნო, USAID/GGI და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტი „დეცენტრალიზაციის და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“.

2022 წელს საქართველოდან OGP Local-ის პროგრამას რუსთავისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებიც შეუერთდნენ. აღნიშნული ციკლის ფარგლებშიც, OGP-ის ადგილობრივ პროგრამაში მონაწილეობის მოსამზადებელ ეტაპზე მუნიციპალიტეტებს მხარდაჭერას უწევდნენ USAID/GGI და UNDP-ის პროექტის „დეცენტრალიზაციის და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ ექსპერტები. პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღო OGP საქართველოს სამდივნომ და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელშეწყობით, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტისთვის საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

პროგრამის წევრ მუნიციპალიტეტებს ასევე შესაძლებლობა აქვთ ითანამშრომლონ OGP Local-ის წევრ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან, გაუზიარონ მათ ცოდნა და გამოცდილება და ადგილობრივ დონეზე დანერგონ ინოვაციური მიდგომები.

ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

OGP-ის წევრობის ფარგლებში, საქართველომ 2024 წლამდე **4 სამოქმედო გეგმა** განახორციელა.[6] 2020 წელს OGP საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა სირთულეებმა და შეზღუდვებმა, მათ შორის, სამუშაო რეჟიმის სრულად ონლაინ ფორმატში გადატანამ.

2021 წელს ახალ, **რიგით მეხუთე სამოქმედო გეგმაზე** მუშაობა გაგრძელდა, კერძოდ, პროცესში ჩართულმა საჯარო უწყებებმა, ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს სხვადასხვა მიმართულებით ინიციატივები წარუდგინეს. წარმოდგენილი ინიციატივების დეტალურად განხილვის მიზნით, სამდივნომ დაიწყო აქტიური მუშაობა შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან და OGP საქართველოს საბჭოს წევრ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სამოქმედო გეგმის ერთობლივად შემუშავების მიზნით, სამდივნოს ორგანიზებით 2022 წლის 21 იანვარს და 24 თებერვალს გაიმართა[7] ღია მმართველობა საქართველოს **ფორუმის ორი შეხვედრა,**[8] რომელთა ფარგლებში ფორუმის წევრებმა განიხილეს ახალი სამოქმედო გეგმისთვის წარმოდგენილი თითოეული ინიციატივა და იმსჯელეს მათი რელევანტურობის შესახებ. ფორუმის შეხვედრების შემდგომ ცალკეულ ინიციატივებზე მსჯელობის მიზნით გაიმართა **20-მდე თემატური სამუშაო შეხვედრა,** რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შედეგად, ჩამოყალიბდა სახელმწიფო უწყებების პოზიციები თითოეული ინიციატივის ახალ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინების მასშტაბის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიციები საბჭოს სრულ შემადგენლობას წერილობითი ფორმით წარედგინა.

---

[6] სამოქმედო გეგმები ხელმისაწვდომია აქ.

[7] 2022 წლის 21 იანვრის ფორუმის შეხვედრის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ, ხოლო 2022 წლის 24 თებერვლის ფორუმის შეხვედრის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ.

[8] ფორუმის შეხვედრის ოქმები ხელმისაწვდომია აქ.

ღია მმართველობა საქართველოს რიგით მე-5, 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი ღია მმართველობა საქართველოს საბჭომ 2023 წლის 20 დეკემბერს განიხილა, მოიწონა და OGP საქართველოს სამდივნოს დოკუმენტის მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა დაავალა.

ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ვალდებულებები

1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესება – რეფორმის მეორე ტალღა	
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
პარტნიორები	- საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ▪ სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ▪ სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ▪ სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ▪ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო ▪ სსიპ - ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტო ▪ სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება	SDG მიზანი 16
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	
საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა რეგულირდება საქართველოს "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" ნორმებით, რომლებიც საჯარო დაწესებულებებისთვის აწესებს შესაბამის სტანდარტსა და პროცედურას. დამატებით, საკითხს არეგულირებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილება "საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" (მთავრობის №219 დადგენილება). მთავრობის აღნიშნული დადგენილება 2013 წელს, სწორედ, ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულების ფარგლებში შემუშავდა და ჩამოყალიბდა იმ საჯარო ინფორმაციის ნუსხა, რომელიც, გარკვეული	

პერიოდულობით, დადგენილებით განსაზღვრულმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა პროაქტიული ფორმით უნდა განათავსონ საკუთარ ვებგვერდებზე.

დადგენილებამ საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი გააუმჯობესა, თუმცა, დოკუმენტის მიღებიდან 10 წლის შემდგომ, მნიშვნელოვანია, გადაიხედოს არსებული საჭიროებები, თუ გამოწვევები და აღნიშნულის საფუძველზე, გაფართოვდეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა.

დამატებით, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, მუდმივად განვითარდეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთა შესაძლებლობები და ამაღლდეს მათი კვალიფიკაცია. შესაბამისად, ზემოხსენებული დადგენილების განახლებისთანავე, მნიშვნელოვანია, გატარდეს ღონისძიებები რელევანტური საჯარო მოხელეების შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით.

ვალდებულების მოკლე აღწერა

რამდენადაც ვალდებულება საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესებას და, შესაბამისად, რეფორმის მეორე ტალღის განხორციელებას გულისხმობს, ვალდებულების ჩამოყალიბების პროცესში, სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო სექტორის მიერ იდენტიფიცირდა მიმართულებები, რომელთა მთავრობის №219-ე დადგენილების გავრცელების სფეროში მოქცევა გაზრდის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, **დადგენილების ცვლილების შედეგად განახლებულ ნუსხას დაემატება ინფორმაცია:**

- **კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული კულტურული და შემოქმედებითი აქტივობების შესახებ**

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან სხვადასხვა სახის კულტურული და შემოქმედებითი აქტივობების დაფინანსებაზე მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯება. ამგვარი აქტივობების შესახებ ინფორმაცია არ არის სისტემატიზებული სახით პროაქტიულად ხელმისაწვდომი, რაც ზრდის მსგავს მიმართულებაზე თანხების არამიზნობრივად განკარგვის რისკებს. შესაბამისად, ვალდებულების ფარგლებში, გამოქვეყნდება ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული პროექტების დასახელება, გამარჯვებული პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია/ფიზიკური პირი, კონკურსის ფარგლებში შემოსული პროექტების საერთო რაოდენობა და კონკურსის მთლიანი ბიუჯეტი.

- **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შემოწმებების შესახებ**

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების, ასევე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების პირობების შესრულების კონტროლს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს. დეპარტამენტი, ერთი მხრივ, გაცემული სალიცენზიო/სანებართვო გადაწყვეტილების პირობებთან შესაბამისობას, ხოლო მეორე

მხრივ, საქმიანობის შედეგად გარემოზე მიყენებული მავნე ზემოქმედების, დაზიანების მასშტაბებსა და მდგომარეობას ამოწმებს. ამასთან, დეპარტამენტი პასუხისმგებელია შესაბამისი რეაგირების განხორციელებაზე. ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება და აღნიშნულის დაცვის თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას წარმოადგენს. აღნიშნული უფლების რეალიზაციისა და დაცვის უზრუნველსაყოფად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირებების თაობაზე ინფორმაციის პროაქტიულად, ონლაინ პლატფორმაზე გამოქვეყნება მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებას და ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების პრევენციას.

- **სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებული ინსპექტირებების შესახებ**

2019 წლის პირველი სექტემბრიდან სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურს ქვეყანაში არსებულ ყველა სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მონიტორინგის უფლებამოსილება აქვს, ხოლო 2021 წლის პირველი იანვრიდან ინსპექციის მანდატი გაიზარდა და შრომის უფლებებზე სრულყოფილი ზედამხედველობის უფლებამოსილება მიენიჭა. საკანონმდებლო რეფორმების მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ გამოწვევაა სამუშაო ადგილებზე შრომის უფლებების დაცვის მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება, რაც, გაზრდილი მანდატის ფონზე, შრომის კანონმდებლობაზე ზედამხედველობის შედეგებშიც აისახება. შესაბამისად, შრომის ინსპექციის სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა საქმიანობის ეფექტიანობისა და ზოგადი ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, ინფორმაციის გამოქვეყნების მექანიზმების განვითარება და საზოგადოების ინფორმირება.

- **სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ**

მართლმსაჯულების სისტემის ანგარიშვალდებულების გაძლიერებისთვის, მნიშვნელოვანია, არსებობდეს სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტი. აღნიშნულის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია ყველა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების სრული დოკუმენტების საჯაროობის უზრუნველყოფა (პერსონალური მონაცემების დაცვით). წინამდებარე ვალდებულების ფარგლებში „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა დაცვით პროაქტიულად გამოქვეყნდება საერთო სასამართლოების მიერ ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტი დეპერსონალიზებული სახით, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო აქტი მოიცავს საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ გამოტანილ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მათ შორის, ისეთ გადაწყვეტილებას, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება.

- **მთავრობის სხდომის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ**

ამჟამად მთავრობის სხდომის ოქმები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, შედეგად, საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. შესაბამისად, მთავრობის გამჭვირვალობის გაზრდის,

ასევე, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაძლიერების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება მთავრობის სხდომების გამართვამდე სხდომის დღის წესრიგის, ხოლო სხდომების გამართვის შემდგომ - სხდომის ოქმების პროაქტიული გამოქვეყნება მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე.

- **რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კომისიის მიერ მიღებული გადაწვეტილებების შესახებ**

რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარისთვის დაფინანსების გაცემის და მისი ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. დღეის მდგომარეობით, პროგრამის ფარგლებში დარეგისტრირებული განაცხადების და თითოეულ მათგანზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია, გარდა პროგრამის მოსარგებლისა, სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის პროაქტიულად ნაკლებად არის ხელმისაწვდომი (დეპერსონალიზებული მონაცემები). წინამდებარე ვალდებულების ფარგლებში რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მომზადდება ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნება პროაქტიულად.

- **საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გაცემული დაფინასების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ**

არსებული საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე ინფორმაცია ნაკლებად არის ხელმისაწვდომი. სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელებული შესყიდვისას არ არის სავალდებულო კონკურენციის უზრუნველყოფა. ასევე, სავალდებულო არ არის გამჭვირვალობის სხვა პროცედურების დაცვა, შესაბამისად, მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გაცემული დაფინანსების შესახებ ინფორმაცია რჩება ელექტრონული პორტალის procurement.gov.ge-ის მიღმა. წინამდებარე ვალდებულების მიზანია, უზრუნველყოს სარეზერვო ფონდებიდან გაცემული დაფინანსების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა.

- **ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემთა ბაზების ჩამონათვალის შესახებ**

2011 წლის ივნისიდან საქართველოში მოქმედებს კანონი „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“. იგი ადგენს რეესტრის, მონაცემთა ბაზის, მომსახურების ან ინფორმაციული სისტემის მნიშვნელოვანი ცვლილების, განვრცობის, კომბინირების, გაუქმების, განადგურების, არქივირებისა და გადაცემის რეგისტრაციის ვალდებულებას. კანონის მიხედვით, ერთიან სახელმწიფო რეესტრში თავმოყრილი უნდა იყოს სრული ინფორმაცია იმ ინფორმაციული აქტივების შესახებ, რაც მონაცემთა ბაზების, რეესტრების, მომსახურებისა თუ ინფორმაციული სისტემების სახით გააჩნია საჯარო სექტორს. ამგვარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა იქნებოდა მნიშვნელოვანი წყარო ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის (ბიზნესი, მედია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აკადემიური წრეები) საჯარო სექტორში წარმოებული მონაცემების შესახებ. კანონის ეფექტური აღსრულებისთვის, მნიშვნელოვანია: გაიზარდოს საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლების ცნობიერება

აღნიშნული კანონის შესახებ და პროაქტიულად გახდეს ხელმისაწვდომი ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემთა ბაზების ზოგადი აღწერა.

- **განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე მშენებლობის ნებართვების გაცემის და არსებული მშენებლობის ნებართვების სახელმწიფო ზედამხედველობის თაობაზე ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

არსებული რეგულაციების მიხედვით, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე სამშენებლო ნებართვის გაცემის პროცესში საზოგადოების პირდაპირი ჩართულობა გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, აღნიშნული ნებართვების მონიტორინგისა და სახელმწიფო ზედამხედველობის თაობაზე ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა დიდ მნიშვნელობას იძენს. დაინტერესებული პირებისათვის არსებული სამშენებლო სამუშაოების თაობაზე ინფორმაციის, მათ შორის განხორციელებული ინსპექტირების შედეგების, ერთ ონლაინ პლატფორმაზე მოძიების შესაძლებლობა გაზრდის საზოგადოების ინფორმირების დონეს, ამასთან, საჯაროდ ცნობილი გახდება სხვადასხვა მშენებლობაზე არსებული დარღვევების ხასიათი და მასშტაბები, რასაც სამომავლოდ დადებითი ეფექტის მოხდენა შეუძლია მსგავსი სახის დარღვევების პრევენციისა და აღმოფხვრის მიმართულებით.

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში, EBRD-ის დაფინანსებით, ინერგება განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვისა და ადმინისტრაციული პროცესების გაციფრულებისა და ერთიან ელექტრონულ სისტემასთან მიერთებული ინტერაქტიული რუკის სისტემა, რომელიც დასრულდება 2024 წელს. პროექტის დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვების პარალელურ რეჟიმში, ხოლო სახელმწიფო ზედამხედველობის თაობაზე ინფორმაციის, კვარტალში ერთხელ გამოქვეყნება.

- **ენერგეტიკული პროექტების შესახებ**

ელექტროენერგიის წარმოების მიმართულება ქვეყნისთვის ერთ-ერთი კრიტიკულად მნიშვნელოვანი სფეროა. შესაბამისად, ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობასა და კომპანიებს შორის დადებული შეთანხმებების (მემორანდუმების, ხელშეკრულებების) პროაქტიული გამოქვეყნება მნიშვნელოვნად გაზრდის საზოგადოების წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულებას და მეტად გამჭვირვალეს გახდის მის საქმიანობას. წინამდებარე ვალდებულების ფარგლებში ერთი მხრივ, შემუშავდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს ენერგეტიკის სფეროში დადებული შეთანხმებების (და სხვა სახის დოკუმენტების) პროაქტიული გამოქვეყნების წესს, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება, წესის დაცვით, ენერგეტიკის სფეროში დადებული შეთანხმებების მარტივი ხელმისაწვდომობა.

- **სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესახებ**

2017 წელს სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს შექმნა და წიაღის სექტორის სტრატეგიის შემუშავება მთავრობის მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებია, რადგან საქართველოს მთავრობის მიზანია ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება,

<table>
<tr><td colspan="5">საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა, ინვესტიციების მოზიდვის გაუმჯობესება და გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული ოპერაციების ხელშეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ წიაღის ეროვნული სააგენტოს შექმნამ და ფუნქციონირებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სექტორის ფარგლებში კომუნიკაცია, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები და ინფორმაციის გასაჯაროება, ჯერ კიდევ არ არსებობს ფორმალური მოთხოვნები ან მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ წიაღისეულის სექტორთან დაკავშირებულ ნებისმიერ თემაზე საჯარო ინფორმაციის გაზიარებას და კონსულტაციებს. წინამდებარე ვალდებულების ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების რეესტრის გამოქვეყნება და მუდმივი განახლება, ასევე, ლიცენზიების სახელმწიფო ზედამხედველობის თაობაზე (სალიცენზიო პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ) ინფორმაციის გამოქვეყნება, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოების ინფორმირებულობის დონეს დარგის განვითარების და არსებული მდგომარეობის შესახებ. ვალდებულების ფარგლებში ასევე უზრუნველყოფილი იქნება:
- სასარგებლო წიაღისეულის უკანონო მოპოვების ფაქტების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება კვარტლურად
- ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით კანონაღსრულების კონტროლის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება.</td></tr>
<tr><td>ვალდებულების განხორციელების პერიოდი</td><td colspan="4">I, 2024 - განგრძობადი</td></tr>
<tr><td rowspan="2">ვალდებულების გავლენა გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე</td><td>გამჭვირვალობა</td><td colspan="2">ანგარიშვალდებულება</td><td>მოქალაქეთა ჩართულობა</td></tr>
<tr><td>✓</td><td colspan="2">✓</td><td></td></tr>
<tr><td>განხორციელების ეტაპები</td><td>მოსალოდნელი შედეგი</td><td>დაწყების თარიღი:</td><td>დასრულების თარიღი:</td><td>პასუხისმგებელი/პარტნიორი უწყება</td></tr>
<tr><td colspan="5">1.1. ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესება</td></tr>
<tr><td>1.1.1 საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის მოკვლევა</td><td>პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის გაფართოების მიზნით საერთაშორისო პრაქტიკა შესწავლილია</td><td>II, 2024</td><td>II, 2024</td><td rowspan="2">საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</td></tr>
<tr><td>1.1.2 მთავრობის დადგენილების ცვლილების პროექტის მომზადება და დამტკიცება</td><td>მთავრობის №219 დადგენილების ცვლილება დამტკიცებულია</td><td>III, 2024</td><td>IV, 2024</td></tr>
</table>

1.1.3 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირების გადამზადება	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ სამინისტროების შესაბამისი მოხელეები გადამზადებულია	IV, 2024	IV, 2024	
1.2. კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული კულტურული და შემოქმედებითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
1.2.1 დაფინანსებული კულტურული და შემოქმედებითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება	ინფორმაცია კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული კულტურული და შემოქმედებითი აქტივობების შესახებ სამინისტროს ვებგვერდზე ქვეყნდება კვარტლურად	II, 2024	განგრძობადი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
1.3. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული შემოწმებების თაობაზე ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
1.3.1 სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ, რეგულირების ობიექტების შემოწმების (ფაქტის) შესახებ ინფორმაციის (ოქმი, სასამართლოს გადაწყვეტილება, გარემოსთვის მიყენებული ზიანი და ადმინისტრაციული მიწერილობა) პროაქტიული გამოქვეყნება	სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ, პერსონალური მონაცემების დაცვით, რეგულირების ობიექტების შემოწმების (ფაქტის) შესახებ ინფორმაცია (ოქმი, სასამართლოს გადაწყვეტილება, გარემოსთვის მიყენებული ზიანი და ადმინისტრაციული მიწერილობა) ქვეყნდება პროაქტიულად	II, 2024	განგრძობადი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ▪ სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

1.4. სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებული ინსპექტირებების შესახებ სტატისტიკური მონაცემების პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
1.4.1 ონლაინ პლატფორმის შექმნა და განხორციელებული ინსპექტირებების შესახებ სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება	▪ ონლაინ პლატფორმა შექმნილია ▪ განახლებადი სტატისტიკური ინფორმაცია განხორციელებული ინსპექტირებების თაობაზე, რომელიც კლასიფიცირებულია (სულ მცირე) დარღვევების სიმძიმის, ეკონომიკური საქმიანობის, ინსპექტირების სახეებისა და რეგიონულ ჭრილში, ქვეყნდება პროაქტიულად	I, 2023	განგრძობადი	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ▪ სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური
1.5. სასამართლო გადაწყვეტილებების პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
1.5.1 პერსონალური მონაცემების დაცვით, ყველა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნება	ყველა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების სრული დოკუმენტი (პერსონალური მონაცემების დაცვით) ქვეყნდება პროაქტიულად, მათ შორის, ღია ფორმატში.	I, 2024	განგრძობადი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
1.6. მთავრობის სხდომების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				

1.6.1 მთავრობის სხდომების დღის წესრიგისა და სხდომის ოქმის გამოქვეყნება	▪ მთავრობის სხდომის გამართვამდე, საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება მთავრობის სხდომის დღის წესრიგი ▪ მთავრობის სხდომის გამართვის შემდგომ, საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება მთავრობის სხდომის ოქმი.	IV, 2024	განგრძობადი	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
1.7. რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კომისიის მიერ მიღებული გადაწვეტილებების პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
1.7.1 რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საერთო კომისიის მიერ მიღებული გადაწვეტილებების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის ანალიტიკური ინსტრუმენტის მომზადება	ანალიტიკური ინსტრუმენტი მომზადებულია	IV, 2023	განგრძობადი	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
1.7.2 რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საერთო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ	სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება კვარტლურად.	IV, 2023	განგრძობადი	

სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება				
1.8. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გაცემული დაფინასების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
1.8.1 სარეზერვო ფონდებიდან გაცემული დაფინასების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება	სარეზერვო ფონდებიდან გაცემული დაფინასების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება პროაქტიულად	IV, 2024	განგრძობადი	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
1.9. ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემთა ბაზების ჩამონათვალის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
1.9.1 თანამედროვე საჭიროებების გათვალისწინებით, „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის განახლებისთვის კანონპროექტის მომზადება და ინიციირება	„ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი გადახედილი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებულია	II, 2024	IV, 2025	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ▪ სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო
1.9.2 ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის პორტალის განახლება	ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის პორტალი განახლებულია	IV, 2024	IV, 2025	
1.9.3 ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემთა ბაზების პროაქტიული გამოქვეყნების მოდულის შექმნა	ერთიანი სახელმწიფო რეესტრის პორტალზე პროაქტიული გამოქვეყნების მოდული (რომელიც ინტეგრირებულია საჯარო დაწესებულებების ვებგვერდებზე) შექმნილია	IV, 2024	IV, 2025	

1.9.4 ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემთა ბაზების ჩამონათვალის პერიოდული განახლება და პროაქტიული გამოქვეყნება	ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი (მონაცემთა ბაზების მეტა დატის აღწერით) ქვეყნდება პროაქტიულად	IV, 2024	IV, 2025	
1.9.5 ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ საჯარო მოხელეთა ცნობიერების გაზრდა	ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ ტრენინგი გავლილი აქვს 10 საჯარო დაწესებულების სულ მცირე 20 წარმომადგენელს	IV, 2024	IV, 2025	
1.10. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე მშენებლობის ნებართვების გაცემის და არსებული მშენებლობის ნებართვების სახელმწიფო ზედამხედველობის თაობაზე ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
1.10.1 ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა	ერთიანი ელექტრონული სისტემა შექმნილია, რომელიც მოიცავს: ▪ დოკუმენტ-ბრუნვის მოდულს ▪ ადმინისტრაციულ სამართავ პანელს ▪ მომხმარებელთა რეგისტრაციის მოდულს ▪ საძიებო სისტემას ▪ ანგარიშების გენერირების მოდულს	II, 2023	I, 2024	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ▪ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

	▪ სივრცითი მონაცემების მოდულს ▪ ქმედებათა არქივს			
1.10.2 ერთიანი ელექტრონული სისტემის მოხმარების და მართვის სწავლება	ერთიანი ელექტრონული სისტემის მოხმარების და მართვის მიმართულებით გადამზადებულია მინიმუმ 40 საჯარო მოხელე	II, 2024	II, 2024	
1.10.3 განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე არსებული მშენებლობის ნებართვების გაცემისა და არსებული ნებართვების სახელმწიფო ზედამხედველობის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება	▪ ნებართვის გაცემის სრულ პროცესზე, დაინტერესებულ პირს ინფორმაციის მიღება შეუძლია მუდმივად განახლებად რეჟიმში ▪ სახელმწიფო ზედამხედველობის თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება პროაქტიულად, კვარტალში ერთხელ	III, 2024	განგრძობადი	
1.12. ენერგეტიკული პროექტების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
1.12.1 ენერგეტიკულ პროექტებზე გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულებების გამოქვეყნება	ენერგეტიკულ პროექტებზე გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულებების გამოქვეყნების წესი შემუშავებული და დამტკიცებულია	I, 2024	IV, 2024	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

	ენერგეტიკულ პროექტებზე გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულებები დადგენილი წესით ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე	I, 2025	განგრძობადი	
1.13. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
1.13.1 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების რეესტრის გამოქვეყნება და მუდმივი განახლება	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების რეესტრი გამოქვეყნებულია და ახლდება კვარტლურად	I, 2024	განგრძობადი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ▪ სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო
1.13.2 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების სახელმწიფო ზედამხედველობის თაობაზე (სალიცენზიო პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ) ინფორმაციის გამოქვეყნება	სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიების სახელმწიფო ზედამხედველობის თაობაზე (სალიცენზიო პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ) ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება კვარტლურად	I, 2024	განგრძობადი	
1.14. სასარგებლო წიაღისეულის უკანონო მოპოვების ფაქტების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
1.14.1 სასარგებლო წიაღისეულის უკანონო მოპოვების ფაქტების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება	სასარგებლო წიაღისეულის უკანონო მოპოვების ფაქტების შესახებ ინფორმაცია	II, 2024	განგრძობადი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

	პროაქტიულად ქვეყნდება კვარტლურად			▪ სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
1.15. ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით კანონაღსრულების კონტროლის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
1.15.1 ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით კანონაღსრულების კონტროლის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება	სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ვებგვერდზე (ვებგვერდის შემუშავების შემდგომ) კანონაღსრულების კონტროლის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგების შესახებ ინფორმაცია 6 თვეში ერთხელ ქვეყნდება	III, 2024	განგრძობადი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ▪ სსიპ - ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტო
ინდიკატორი	1. მომზადებულია საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ 2. განახლებულია საქართველოს მთავრობის №219 დადგენილება (დადგენილების ნუსხა მოიცავს წინამდებარე ვალდებულების 1.2-1.15 პუნქტებში მითითებულ ინფორმაციას) 3. შესაბამისი საჯარო დაწესებულებები აქვეყნებენ ინფორმაციას საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ მთავრობის განახლებული დადგენილების შესაბამისად 4. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ სამინისტროების შესაბამისი მოხელეები გადამზადებულია.			

2. „ღია მონაცემების აქტის“ მიღება	
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
პარტნიორები	სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს სამინისტროები
მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება	მდგრადი განვითარების მე-16 მიზანი
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	
ევროპის საბჭოს განმარტებით, ღია მონაცემი - ეს არის მონაცემთა და ინფორმაციის გამოქვეყნება იმ ფორმატით, რომლის გამოყენება, მოდიფიცირება და გაზიარება თავისუფლად არის შესაძლებელი.[9] ღია მონაცემების ხელმისაწვდომობა ბიზნესს, არასამთავრობო და სამთავრობო დაწესებულებებს საშუალებას აძლევს შეუფერხებლად ისარგებლონ საჭირო მონაცემებით, მათი გამოყენებით შექმნან აპლიკაციები, ელექტრონული სერვისები და შედეგად, მიიღონ ეკონომიკური სარგებელი. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო დაწესებულებები საქართველოში ამუშავებენ ღია მონაცემებს, მხოლოდ ცალკეული მათგანი აწარმოებს აღნიშნულს მანქანა-კითხვად ფორმატში. საქართველოს მთავრობამ აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში შექმნა ღია მონაცემთა პორტალი (**data.gov.ge**), რომელიც ღია ფორმატით წარმოადგენს ინფორმაციას სხვადასხვა საჯარო დაწესებულების, მათ შორის, შესყიდვებისა და სახელმწიფო ხარჯების შესახებ. პორტალს ადმინისტრირებას უწევს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო. მიუხედევად ღია მონაცემების დამოუკიდებელი პორტალის არსებობისა, აღსანიშნავია, რომ პორტალზე მონაცემთა განთავსება ნებაყოფლობითი ხასიათისაა, შესაბამისად, აღნიშნული პლატფორმა არ ფარავს ყველა სახელმწიფო უწყებას. ამასთან, ამ მიმართულებით დაბალია ცნობიერების დონე როგორც სახელმწიფო უწყებებში მონაცემთა განთავსების კუთხით, ისე ფართო საზოგადოებაში ვებგვერდის გამოყენების თვალსაზრისით. ამასთან, პორტალზე გამოქვეყნებული მონაცემების რაოდენობის ზრდას აფერხებს data.gov.ge-ის განახლების აუცილებლობა, რომელიც ამ ეტაპზე ტექნიკურად და სისტემურად მოძველებულია.[10]	
ვალდებულების მოკლე აღწერა	
წინამდებარე ვალდებულების ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს მჭიდრო თანამშრომლობით, მომზადდება ღია მონაცემების შესახებ სამართლებრივი ჩარჩო, რომლითაც სახელმწიფო უწყებებს დაევალებათ მათ ხელთ არსებული ღია მონაცემების პორტალზე - Data.gov.ge გამოქვეყნება. ვალდებულების	

[9] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო „ღია ადგილობრივი მმართველობის და საჯარო სამსახურში ეთიკის წესების შესახებ“, გვ. 39. ხელმისაწვდომია აქ.
[10] საჯარო მმართველობის რეფორმა, გზამკვლევი 2020, იმპლემენტაციის მიმოხილვა, გვ. 44.

<table>
<tr><td colspan="5">შესრულების შედეგად, გაუმჯობესდება საჯარო ინფორმაციისა და ღია მონაცემების პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტები.</td></tr>
<tr><td>ვალდებულების განხორციელების პერიოდი</td><td colspan="4">IV, 2024 - IV, 2025</td></tr>
<tr><td rowspan="2">ვალდებულების გავლენა გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე</td><td>გამჭვირვალობა</td><td colspan="2">ანგარიშვალდებულება</td><td>მოქალაქეთა ჩართულობა</td></tr>
<tr><td>✓</td><td colspan="2">✓</td><td></td></tr>
<tr><td>განხორციელების ეტაპები</td><td>მოსალოდნელი შედეგი</td><td>დაწყების თარიღი:</td><td>დასრულების თარიღი:</td><td>პასუხისმგებელი/პარტნიორი უწყება</td></tr>
<tr><td>2.1 ღია მონაცემების აქტის (მთავრობის დადგენილება) მომზადება და დამტკიცება</td><td>ღია მონაცემების მარეგულირებელი საქართველოს მთავრობის დადგენილება მთავრობის მიერ მიღებულია</td><td>IV, 2024</td><td>IV, 2024</td><td>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

პარტნიორი: სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</td></tr>
<tr><td>2.2 ღია მონაცემების შესახებ სახელმწიფო უწყებების თანამშრომელთა გადამზადება</td><td>ღია მონაცემების შესახებ გადამზადებულია 5 სახელმწიფო უწყების სულ მცირე 10 თანამშრომელი</td><td>IV, 2024</td><td>IV, 2025</td><td rowspan="3">სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</td></tr>
<tr><td>2.3 ღია მონაცემების წარმოებისა და დამუშავების სისტემების განვითარება</td><td>ღია მონაცემების წარმოებისა და დამუშავების სისტემები დანერგილია 5 უწყებაში</td><td>IV, 2024</td><td>IV, 2025</td></tr>
<tr><td>2.4 ღია მონაცემების პორტალის (data.gov.ge) განახლება</td><td>ღია მონაცემების პორტალი განახლებულია</td><td>IV, 2024</td><td>IV, 2025</td></tr>
</table>

2.5 უწყებების მიერ data.gov.ge-ზე ღია მონაცემების რეგულარული გამოქვეყნება/განახლება	პორტალზე - data.gov.ge უწყებების მიერ რეგულარულად ქვეყნდება/ახლდება ღია მონაცემები	განგრძობადი	განგრძობადი	
ინდიკატორი	1. მთავრობის დადგენილება ღია მონაცემების შესახებ მიღებულია 2. ღია მონაცემების შესახებ გადამზადებულია 5 სახელმწიფო უწყების სულ მცირე 10 თანამშრომელი 3. ღია მონაცემების სისტემები დანერგილია 5 უწყებაში 4. Data.gov.ge განახლებულია 5. პორტალზე data.gov.ge უწყებების მიერ რეგულარულად ქვეყნდება/ახლდება ღია მონაცემები.			

3. სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა	
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
პარტნიორები	საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება	SDG მიზანი 16
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	
OGP საქართველოს ფორუმის წევრ არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ პარტნიორ უწყებებთან ერთად 2018 წელს დაიწყო სახელმწიფო/საჯარო ინსტიტუციების მიერ საგრანტო დაფინანსების გაცემის არსებული სისტემის რეფორმაზე მუშაობა. პრაქტიკის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა სამინისტროებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტის გაცემის საერთო პრინციპებსა და პროცედურას არ ითვალისწინებს. ამასთან, არ არსებობს საჯარო ინსტიტუციების მიერ გრანტის გაცემის ერთიანი საკანონმდებლო სტანდარტი. გარდა ამისა, სახელმწიფო საგრანტო სისტემაში ჩართული არ არის რიგი საჯარო ინსტიტუციები.	

OGP საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ OGP საქართველოს ფორუმის წევრ ა(ა)იპ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან ერთად 2018 წელს დაიწყო სახელმწიფო/საჯარო ინსტიტუციების მიერ საგრანტო დაფინანსების გაცემის არსებული სისტემის რეფორმაზე მუშაობა. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის, ფინანსთა სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. გაიმართა არაერთი შეხვედრა და მომზადდა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების რამდენიმე პროექტი. შეთანხმდა რიგი საკითხები, თემების ნაწილისთვის კი გამოიკვეთა დამატებითი სამუშაოს გაწევის საჭიროება.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა პროცესი გაგრძელდეს, გაიმართოს კონსულტაციები და შეჯერდეს კანონპროექტის საბოლოო სახე.

ვალდებულების მოკლე აღწერა

ვალდებულება ითვალისწინებს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ კონსულტაციების დასრულებას, პროექტის საბოლოო ვერსიის მომზადებასა და საქართველოს პარლამენტისთვის დასამტკიცებლად წარდგენას.

ვალდებულების განხორციელების პერიოდი	I, 2024 – III, 2024			
ვალდებულების გავლენა გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება		მოქალაქეთა ჩართულობა
	✓	✓		
განხორციელების ეტაპები	**მოსალოდნელი შედეგი**	**დაწყების თარიღი:**	**დასრულების თარიღი:**	**პასუხისმგებელი/პარტნიორი უწყება**
3.1 საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების მიზნით, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვა	საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების მიზნით სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან	I, 2024	II, 2024	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

	კონსულტაციები დასრულებულია			
3.2 „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების პროექტის მომზადება და განხილვა	“გრანტების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი მომზადებულია და განხილულია OGP საქართველოს ფორუმის ფარგლებში	II, 2024	II, 2024	
3.3 კანონში ცვლილების პროექტის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა	კანონში ცვლილების პროქტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის.	III, 2024	III, 2024	
ინდიკატორი	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების პროექტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის.			

4. მოპოვებითი მრეწველობის სექტორში გამჭვირვალობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა	
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პარტნიორები	სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო
მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება	SDG მიზანი 16
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	
საქართველო მდიდარია სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულით. წიაღის სექტორს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. წიაღის სექტორის განვითარებისა და ეფექტური მართვის მიზნით, 2017 წლის დეკემბრის თვეში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, სასარგებლო წიაღისეულის მართვისა და სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლის უფლებამოსილება გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების	

სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - წიაღის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც დღეს ფუნქციონირებს სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს სახელით.

2019 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს წიაღის სექტორის სტრატეგია“, რომლის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა: წიაღის სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპის გაძლიერება, საინფორმაციო ბაზების განახლება და საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შემოსავლების ოპტიმიზაციის მიზნით, შემოსავლების მართვის პრინციპების დანერგვა მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის (Extractive Industry Transparency Initiative - EITI) პრინციპების შესაბამისად. 2019 წელსვე, საქართველო შეუერთდა სამთომოპოვებითი მრეწველობის, მინერალური რესურსების, ლითონებისა და მდგრადი განვითარების მთავრობათაშორის ფორუმს (Intergovernmental Forum on Mining, Minerals, Metals and Sustainable Development, IGF). IGF-თან მიერთებით, ქვეყანამ გამოთქვა მზადყოფნა, გააუმჯობესოს მმართველობა სამთომოპოვებით სექტორში.

მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში დაწყებულია მუშაობა სექტორის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს განახლების მიმართულებით, კერძოდ, მუშავდება წიაღის კოდექსის სამუშაო ვერსია. კოდექსის ამოქმედების შედეგად, მიღებული იქნება ახალი სამთომოპოვებითი საკანონმდებლო სისტემა, რომელიც ასახავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას საერთაშორისო გარემოსდაცვითი პრინციპებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოფს სასარგებლო წიაღისეულით რაციონალურ და მდგრად სარგებლობას.

ვალდებულების მოკლე აღწერა

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა (EITI) ბუნებრივი რესურსების, მათ შორის გაზის, ნავთობის, ლითონის და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ სფეროში კარგი მმართველობის გლობალური სტანდარტია. EITI ხელს უწყობს მოპოვებით სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების განვითარებას და ასევე, სწავლობს ბუნებრივი რესურსების მოპოვების ზეგავლენას ეკონომიკაზე, როგორც ცენტრალურ, ასევე, ადგილობრივ დონეზე.

EITI-ის სტანდარტის საქართველოში დანერგვა საჭიროებს არსებული მდგომარეობის კვლევას, კერძოდ, პირველ ეტაპზე უნდა განხორციელდეს სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობის კვლევა და შეფასდეს არსებული მდგომარეობა, ხოლო მეორე ეტაპზე, მომზადდეს სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრის გზებს და EITI-ის სტანდარტთან მიერთების მიზნით საჭირო აქტივობებს/ღონისძიებებს.

ამასთან, ვალდებულება მოიცავს მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში მიმდინარე რეფორმის - „სექტორის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს განახლების პროცესის“ - გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. ეს, მათ შორის, გულისხმობს ნორმატიული აქტების პროექტების შესახებ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩატარების ნათელი გეგმის არსებობას და შემდგომ, მის შესრულებას.

ვალდებულების განხორციელების პერიოდი	I, 2024 – IV, 2024			
ვალდებულების გავლენა გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება		მოქალაქეთა ჩართულობა
	✓	✓		✓
განხორციელების ეტაპები	**მოსალოდნელი შედეგი**	**დაწყების თარიღი:**	**დასრულების თარიღი:**	**პასუხისმგებელი/პარტნიორი უწყება**
4.1 EITI-ის სტანდარტის საქართველოში დანერგვის მიზნით, ინსტიტუციური და სამართლებრივი მზაობის შესახებ კვლევის განხორციელება და EITI-სთან მიერთების სამოქმედო გეგმის შემუშავება	EITI-ის სტანდარტის საქართველოში დასანერგად კვლევა განხორციელებულია; შემუშავებულია EITI-სთან მიერთების სამოქმედო გეგმა	I, 2024	IV, 2025	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ▪ სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო
4.2 სამთო-მოპოვებითი კოდექსის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან	კოდექსის განხილვის მიზნით, შეხვედრები ჩატარებულია დაინტერესებულ მხარეებთან	II, 2024	IV, 2024	
ინდიკატორი	1. EITI-ის სტანდარტების დანერგვის მიმართულებით საქართველოს ინსტიტუციური და სამართლებრივი მზაობის შესახებ კვლევა განხორციელებულია და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის 2. შემუშავებულია EITI-სთან მიერთების სამოქმედო გეგმა 3. სამთო-მოპოვებითი კოდექსის პროექტის განხილვის მიზნით შეხვედრები ჩატარებულია დაინტრესებულ მხარეებთან.			

5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უზრუნველყოფა	
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
პარტნიორები	
მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება	SDG მიზანი 16
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	
ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმამ გაითვალისწინა მთელი რიგი აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში შშმ პირთა ჩართულობის, კერძოდ, მათ მიერ სერვისების მიღების ხარისხის გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, რომ ახალი სამოქმედო გეგმით დაისახოს კიდევ უფრო ამბიციური მიზნები და მოცული იქნეს ისეთი ჯგუფები, რომელთაც არ აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის საშუალება. ამგვარ ჯგუფებს წარმოადგენს დიდი ზომის ინსტიტუციებში (ფსიქიატრიული დაწესებულებები და შშმ პირთა პანსიონატები) განთავსებული შშმ პირები. მიუხედავად ქვეყანაში დეინსტიტუციონალიზაციის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტის დეკლარირებისა, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები. კერძოდ, სრულად არ არის აღმოფხვრილი შშმ პირთა საზოგადოებისგან იზოლირებულად ცხოვრების წესი. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით პრობლემურ საკითხად იკვეთება დიდი ზომის ინსტიტუციების ბენეფიციართათვის საცხოვრისის, დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდამჭერი თუ სხვა ტიპის სათემო სერვისების ხელმისაწვდომობა, რის გამოც, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებულია, იცხოვროს სპეციალურ ინსტიტუციებში[11] და მოკლებული იყოს იმ სიკეთეებს, რაზეც საზოგადოების დანარჩენ წევრებს აქვთ წვდომა, მაგალითად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად და შეუფერხებლად ჩართვის შესაძლებლობა.	
ვალდებულების მოკლე აღწერა	
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ახალმა სამოქმედო გეგმამ გაითვალისწინოს **შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა დეინსტიტუციონალიზაციისა და სათემო სერვისების შემუშავების მეშვეობით.** აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეისწავლა ინსტიტუციების მაცხოვრებელთა ინდივიდუალური საჭიროებები, რის შემდგომაც	

[11] მაგალითად, სახალხო დამცველის ანგარიშების მიხედვით, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 30-40% მხოლოდ იმიტომ იმყოფება ინსტიტუციებში, რომ საცხოვრისი არ გააჩნია.

<table>
<tr><td colspan="5">დაამტკიცა შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და დეინსტიტუციონალიზაციის 2023-2030 წლების სტრატეგია და მისი განხორციელების 2023–2025 წლების სამოქმედო გეგმა.[12] შესაბამისად, ამ მიმართულებით თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა უკვე დაწყებულია.

შემდგომი ეტაპისათვის, მიზანშეწონილია, გათვალისწინებული იყოს ისეთი საკითხები, როგორებიცაა სახელმწიფოს მიერ:
- სათემო სერვისების განვითარება მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- პოლიტიკის აღსრულებისა და მონიტორინგის პროცესში შშმ პირების, მათ შორის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების აქტიური და ეფექტიანი ჩართულობის მექანიზმის შექმნა და გამოყენება;
- საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება.</td></tr>
<tr><td>ვალდებულების განხორციელების პერიოდი</td><td colspan="4">I, 2024 – IV, 2026</td></tr>
<tr><td rowspan="2">ვალდებულების გავლენა გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე</td><td>გამჭვირვალობა</td><td colspan="2">ანგარიშვალდებულება</td><td>მოქალაქეთა ჩართულობა</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">✓</td><td>✓</td></tr>
<tr><td>განხორციელების ეტაპები</td><td>მოსალოდნელი შედეგი</td><td>დაწყების თარიღი:</td><td>დასრულების თარიღი:</td><td>პასუხისმგებელი/პარტნიორი უწყება</td></tr>
<tr><td>5.1 მთელი ქვეყნის მასშტაბით სათემო სერვისების განვითარება</td><td>მთელი ქვეყნის მასშტაბით განვითარებულია სერვისები, რომლებიც ეყრდნობა რელევანტური პირების/ჯგუფების ინდივიდუალურ საჭიროებებს</td><td>I, 2024</td><td>IV, 2026</td><td>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</td></tr>
<tr><td>5.2 საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის</td><td>სოციალური სერვისების შესახებ შშმ პირების,</td><td>I, 2024</td><td>IV, 2026</td><td>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან</td></tr>
</table>

[12] შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია 2023-2030 და მისი განხორციელების 2023–2025 წლების სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია აქ.

მიზნით, განგრძობადი საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება	მათი ოჯახის წევრების, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისა და ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, საინფორმაციო კამპანია დაგეგმილი და განხორციელებულია.			დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ინდიკატორი	1. მთელი ქვეყნის მასშტაბით განვითარებულია პროგრამები, რომლებიც ეყრდნობა რელევანტური პირების/ჯგუფების ინდივიდუალურ საჭიროებებს 2. ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია სოციალური სერვისების შესახებ დაგეგმილი და განხორციელებულია.			

6. საცხოვრისიდან გამოსახლების საქმეებზე სტატისტიკის მეთოდოლოგიის დახვეწა და მონაცემების გამოქვეყნება	
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ▪ სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო
პარტნიორები	
მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება	SDG მიზანი 16
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	
ამჟამად ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი სტატისტიკური მონაცემები უსახლკარობისა და საცხოვრისის პოლიტიკის სფეროში. ამგვარი ინფორმაციის არარსებობა ართულებს მოქალაქეების უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან, უძრავი ნივთიდან გამოსახლების საკითხები ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს რეალობაში.	

დღევანდელი მდგომარეობით, გამოსახლების საქმეებზე არ ხდება სტატისტიკური მონაცემების შეგროვება დეტალური და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. დამატებით გამოწვევას წარმოადგენს აღნიშნული მიმართულებით საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების სუსტი პრაქტიკა. მონაცემთა არარსებობის გამო, შეფერხებით ხდება დაინტერესებული მხარეებისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაც, რაც თავის მხრივ, ართულებს საზოგადოების ინფორმირებულობას ქვეყანაში საცხოვრისიდან გამოსახლების მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესახებ.
ვალდებულების მოკლე აღწერა
ზემოხსენებული გამოწვევების დაძლევის მიზნით, მნიშვნელოვანია საცხოვრისიდან გამოსახლების საქმეებზე სტატისტიკის წარმოების დეტალური და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის შექმნა, ისევე როგორც საცხოვრისიდან გამოსახლების საქმეებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. ასევე, მიზანშეწონილია, რომ ყურადღება დაეთმოს გამოსახლების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირებას.

ვალდებულების განხორციელების პერიოდი	II, 2024 – IV, 2025			
ვალდებულების გავლენა გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება		მოქალაქეთა ჩართულობა
	✓	✓		
განხორციელების ეტაპები	**მოსალოდნელი შედეგი**	**დაწყების თარიღი:**	**დასრულების თარიღი:**	**პასუხისმგებელი/პარტნიორი უწყება**
6.1 სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საცხოვრისიდან გამოსახლების საქმეებზე სტატისტიკის წარმოების დეტალური და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის შემუშავება.	სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საცხოვრისიდან გამოსახლების საქმეებზე სტატისტიკის წარმოების დეტალური და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული მეთოდოლოგია შემუშავებულია და	II, 2024	IV, 2024	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ▪ სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო

	ითვალისწინებს წარმოებაში არსებულ/აღსრულებულ საქმეებში: ▪ უძრავი ნივთის დანიშნულებასა და აღსრულების სახეს ▪ უძრავ ნივთზე მფლობელობის ტიპს. ▪ გადაწყვეტილებაში მოვალედ მითითებული პირებისა და შინამეურნეობების შესახებ ინფორმაციას (*შინამეურნეობების წევრთა რაოდენობა, გენდერული კუთვნილება, ასაკობრივი კატეგორიები, გავშვების რაოდენობა, მარტოხელა მშობლის სტატუსი, შშმ პირის სტატუსი, პენსიონერის ან ვეტერანის სტატუსი, სოციალურად მოწყვლადი პირის სტატუსი, ეთნიკური*			

	უმცირესობისადმი მიკუთვნება.).			
6.2 ახლად შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად სტატისტიკური მონაცემების დამუშავება	პერმანენტულად მიმდინარეობს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ახლად შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად სტატისტიკური მონაცემების დამუშავება	IV, 2024	IV, 2025	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ▪ სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო
6.3 გამოსახლების საქმეების შესახებ სტატისტიკური მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკის დანერგვა	გამოსახლების საქმეების შესახებ სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება პროაქტიულად.	II, 2025	IV, 2025	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ▪ სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო
ინდიკატორი	1. სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ შემუშავებულია საცხოვრისიდან გამოსახლების საქმეებზე სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია 2. სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით დამუშავებულია მონაცემები 3. სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები გამოსახლების საქმეების შესახებ პროაქტიულად ხელმისაწვდომია.			

7. საცხოვრისის პოლიტიკის ძირითადი საკითხების განსაზღვრა სოციალური დაცვის რეფორმის საკანონმდებლო ჩარჩოში	
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
პარტნიორები	
მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება	SDG მიზანი 16
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	
ამჟამად ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი სტატისტიკური მონაცემები უსახლკარობისა და საცხოვრისის პოლიტიკის სფეროში. ამგვარი მონაცემების არსებობა მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, საცხოვრისის პოლიტიკის დაგეგმვისა და სწორი პრიორიტეტების განსაზღვრის მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრივ, არსებული პოლიტიკისა და კონკრეტული ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგის მიზნით. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მნიშვნელოვანია საცხოვრისის პოლიტიკა ეფუძნებოდეს დარგის სტატისტიკურ მონაცემებს.[13]	
ვალდებულების მოკლე აღწერა	
უსახლკარობის მასშტაბის, მისი გამომწვევი მიზეზების, უსახლკარო და უსახლკარობის საფრთხის ქვეშ მყოფი პირების წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაციის არარსებობა, საბოლოო ჯამში, ავითარებს ფრაგმენტულ და არაერთგვაროვან, უსახლკარობის დროებითი მართვის პრინციპზე დაფუძნებულ მიდგომას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქვეყანაში მოქმედი მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო ითვალისწინებდეს უსახლკარობისა და საცხოვრისის პოლიტიკის სფეროში მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ვალდებულებას, რაშიც მოიაზრება: - საკანონმდებლო დონეზე „უსახლკარო პირის“ დეფინიციის შემუშავება - მონაცემების შექმნის, შეგროვებისა და დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგიის მომზადება და ამოქმედება - რაოდენობრივი სტატისტიკის დამუშავება სხვადასხვა ჭრილში, მათ შორის გენდერული, ასაკობრივი, სოციალური სტატუსი, უსახლკარობის მიზეზები, ფორმები და ინდივიდუალური საჭიროებები.	

[13] ევროპის სოციალური ქარტიის კომიტეტის დაიჯესტები, ხელმისაწვდომია აქ. გვ. 349.

<table>
<tr><td colspan="5">ზემოთ აღნიშნული ამოცანების შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელი ორგანო და სისტემატიზაციის მეთოდები. დამატებით, მნიშვნელოვანია, რომ ზემოხსენებული მეთოდოლოგიის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს წინ უსწრებდეს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და დამტკიცება.</td></tr>
<tr><td>ვალდებულების განხორციელების პერიოდი</td><td colspan="4">I, 2024 - IV, 2024</td></tr>
<tr><td rowspan="2">ვალდებულების გავლენა გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე</td><td>გამჭვირვალობა</td><td colspan="2">ანგარიშვალდებულება</td><td>მოქალაქეთა ჩართულობა</td></tr>
<tr><td>✓</td><td colspan="2"></td><td>✓</td></tr>
<tr><td>განხორციელების ეტაპები</td><td>მოსალოდნელი შედეგი</td><td>დაწყების თარიღი:</td><td>დასრულების თარიღი:</td><td>პასუხისმგებელი/პარტნიორი უწყება</td></tr>
<tr><td>7.1 სოციალური დაცვის სფეროს რეფორმის ფარგლებში საცხოვრისის მიმართულებით საკანონმდებლო ჩარჩოს მომზადება</td><td>სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობის გზით სოციალური დაცვის რეფორმის ფარგლებში შემუშავებულია საკანონმდებლო ჩარჩო საცხოვრისის პოლიტიკასთან დაკავშირებით</td><td>I, 2024</td><td>IV, 2024</td><td rowspan="2">საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</td></tr>
<tr><td>7.2 უსახლკარობისა და საცხოვრისის პოლიტიკის სფეროში მონაცემების შეგროვება და დამუშავება.</td><td>შემუშავებულია საცხოვრისის სფეროში მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგია.</td><td>I, 2024</td><td>IV, 2024</td></tr>
<tr><td>ინდიკატორი</td><td colspan="4">1. საცხოვრისის მიმართულებით საკანონმდებლო ბაზა მომზადებულია
2. შემუშავებულია საცხოვრისის სფეროში მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგია.</td></tr>
</table>

8. ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობა				
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია			
პარტნიორები	ციფრული მმართველობის სამთავრობო კომისია			
მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება	SDG მიზანი 16			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა				
სახელმწიფო ვებგვერდების მისაწვდომობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ერთი მხრივ, არ არსებობს დადგენილი სტანდარტი, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ვებგვერდები და აპლიკაციები, ხოლო მეორე მხრივ, სტანდარტის არარსებობის გამო, პრაქტიკაში გამოყენებულია განსხვავებული მიდგომები, რაც ნაკლებად მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. დამატებით, ერთი და იგივე ინფორმაცია ან/და სერვისი შესაძლოა დუბლირებული იყოს რამდენიმე ვებგვერდსა და თუ აპლიკაციაში, რაც რესურსების არასწორ გამოყენებაზე მიუთითებს.				
ვალდებულების მოკლე აღწერა				
ინიციატივა გულისხმობს საჯარო დაწესებულებების ვებგვერდებისა და აპლიკაციების ერთიან სტანდარტში მოქცევას, რაც მომხმარებელს გაუადვილებს მათზე წვდომას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიმართულებით არსებობს ევროკავშირის სტანდარტები ევროდირექტივა (EU) 2016/2102-ის სახით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ევროდირექტივა არ არის გათვალისწინებული ასოცირების შესახებ შეთანხმებაში, საქართველოს ევროკავშირის სტანდარტებთან ეტაპობრივი დაახლოება ნებისმიერი მიმართულებით წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.				
ვალდებულების განხორციელების პერიოდი	III, 2024 - II, 2025			
ვალდებულების გავლენა გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება		მოქალაქეთა ჩართულობა
	✓	✓		✓
განხორციელების ეტაპები	**მოსალოდნელი შედეგი**	**დაწყების თარიღი:**	**დასრულების თარიღი:**	**პასუხისმგებელი/პარტნიორი უწყება**

8.1 ვებგვერდების ერთიანი მისაწვდომობის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის კვლევა	ვებგვერდების ერთიანი მისაწვდომობის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის კვლევა ჩატარებულია	III, 2024	IV, 2024	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
8.2 ციფრული მმართველობის სამთავრობო კომისიისთვის ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ საკითხის განსახილველად წარდგენა	ვებგვერდების ერთიანი მისაწვდომობის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის კვლევის შედეგები/რეკომენდაციები წარდგენილია ციფრული მმართველობის სამთავრობო კომისიისთვის	IV, 2024	IV. 2024	
8.3 ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ საკანონმდებლო ცვლილების მომზადება	მიღებულია საკანონმდებლო ცვლილება ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ევრო დირექტივა (EU) 2016/2102-ს.	I, 2025	II, 2025	
ინდიკატორი	მიღებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ევრო დირექტივა (EU) 2016/2102-ს.			

9. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ინკლუზიური მიდგომების გაძლიერება	
წამყვანი დაწესებულება	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
პარტნიორები	- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ▪ სსიპ - საკანონმდებლო მაცნე - მუნიციპალიტეტები
მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება	SDG მიზანი 16
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო ენის არასათანადო დონეზე ცოდნის დღემდე არსებული გამოწვევების გამო ჯერ კიდევ დგას საჭიროება, რომ უზრუნველყოფილი იყოს ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა , რაც საჭიროებს სხვადასხვა რესურსის თარგმანს. უმცირესობების ენებზე ინფორმაციის მიწოდება დაეხმარება იმ მოქალაქეებს, რომლებიც ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას სრულყოფილად, მეტად აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული მდგომარეობით, არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი (32 ნორმატიული აქტი) და მრავლობითი საინფორმაციო მასალა (მათ შორის, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების საკითხების, საგანმანათლებლო და დასაქმების შესაძლებლობების, ასევე ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის პროგრამების შესახებ) უკვე თარგმნილია ეთნიკური უმცირესობების ენებზე, დასრულების პროცესშია დამატებით 11 საკანონმდებლო აქტის თარგმნა. თუმცა, მნიშვნელოვანია ეს პროცესი გაგრძელდეს. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ინფორმირებულობას არსებული შესაძლებლობებისა და საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ.

ამასთან, პოლიტიკის დონეზე, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე, ისევე როგორც ზოგადად, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხი, სრულად გათვალისწინებულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიაში, რომლის განხორციელებასაც სახელმწიფო მინისტრის აპარატი უწევს კოორდინაციას. ასევე, მიმდინარეობს ეთნიკური უმცირესობებისთვის არსებული შესაძლებლობების, მექანიზმებისა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიები. მნიშვნელოვანია დამატებითი ძალისხმევის გაწევა ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმირების მასშტაბების შემდგომი გაფართოვების მიზნით, მათ შორის საინფორმაციო კამპანიების გზით.

ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინების მიზნით, არსებული მდგომარეობით, სახელმწიფო რწმუნებულებთან ფუნქციონირებს საკონსულტაციო საბჭოები, ასევე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის ფარგლებში მოქმედებს საკონსულტაციო მექანიზმი 6 თემატური მიმართულებით - ახალგაზრდებისა და ქალების გაძლიერება; სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია; მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა; განათლება და სახელმწიფო ენა; ინტერკულტურული დიალოგის წახალისება - რომლის ფარგლებში მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების აქტორების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, ექსპერტების, აკადემიური წრის წარმომადგენლების, საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით. ვალდებულების მიზანია, აღნიშნული საკონსულტაციო ფორმატების მეტად გააქტიურება და არსებული მექანიზმების შემდგომი გაძლიერება.

ვალდებულების მოკლე აღწერა

ვალდებულება ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ხელი შეუწყოს ინფორმაციასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, ასევე, ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობისა და მონაწილეობის გაუმჯობესებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები უზრუნველყოფენ ძირითადი საკანონმდებლო აქტების თარგმნას და მათ ხელმისაწვდომობას. ასევე, შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგმება ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების, ინფორმაციის გაზიარებისა და საკონსულტაციო მექანიზმების გაძლიერების გზით.

ვალდებულების განხორციელების პერიოდი	I, 2024 – IV, 2025			
ვალდებულების გავლენა გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება		მოქალაქეთა ჩართულობა
		✓		✓
განხორციელების ეტაპები	**მოსალოდნელი შედეგი**	**დაწყების თარიღი:**	**დასრულების თარიღი:**	**პასუხისმგებელი/პარტნიორი უწყება**
9.1 ძირითადი საკანონმდებლო აქტების თარგმნა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.	უმცირესობების ენაზე ნათარგმნია ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტები და	I, 2024	IV, 2025	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ▪ სსიპ - საკანონმდებლო მაცნე

	განთავსებულია თვითმმართველობების ვებგვერდებზე			პარტნიორი: მუნიციპალიტეტები
9.2 ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე ქვეყანაში არსებული შესაძლებლობების, მექანიზმებისა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო კამპანიის გამართვა	ჩატარებულია საინფორმაციო კამპანიები ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე თვითმმართველობის დონეზე არსებული ჩართულობის შესაძლებლობებისა და მექანიზმების შესახებ	I, 2024	IV, 2025	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
9.3 ეთნიკური უმცირესობების საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი საკონსულტაციო მექანიზმის გაძლიერება	სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიისა და მასთან არსებული თემატური საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფების სამუშაო შეხვედრების ინტენსივობა გაზრდილია	I, 2024	IV, 2025	
ინდიკატორი	1. უმცირესობების ენაზე ნათარგმნია ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტები და განთავსებულია matsne.gov-ge-სა და თვითმმართველობების ვებგვერდებზე 2. ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე ჩატარებულია საინფორმაციო კამპანიები სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების, არსებული ჩართულობის შესაძლებლობებისა და მექანიზმების შესახებ 3. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში არსებული საკონსულტაციო მექანიზმის - თემატური ჯგუფების ფარგლებში სამუშაო			

	შეხვედრების ინტენსივობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა გაზრდილია.

10. გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცება მუნიციპალიტეტებში	
წამყვანი დაწესებულება	- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო - ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო
პარტნიორები	
მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება	SDG მიზანი 16
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	
მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში არ არსებობს სტრატეგიული დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის სტანდარტები. ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში ასეთი დოკუმენტის შექმნის ვალდებულება 8 მუნიციპალიტეტმა აიღო. დემოკრატიული მმართველობის პრინციპების შემდგომი დანერგვის მიზნით, გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, აუცილებელია პრაქტიკის გაგრძელება და შესაბამისი სტრატეგიული ჩარჩოს შექმნა, რაც მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.	
ვალდებულების მოკლე აღწერა	
კვლევებისა და ანალიზის განხორციელების შედეგად გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტების დონეზე გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. შესაბამისად, გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების გზით, ვალდებულება მიზნად ისახავს გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცებას მცხეთის, ზესტაფონის, სამტრედიის, ვანის და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში.	

ვალდებულების განხორციელების პერიოდი	I, 2024 – II, 2024			
ვალდებულების გავლენა გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება		მოქალაქეთა ჩართულობა
	✓	✓		✓
განხორციელების ეტაპები	**მოსალოდნელი შედეგი**	**დაწყების თარიღი:**	**დასრულების თარიღი:**	**პასუხისმგებელი/პარტნიორი უწყება**
10.1 გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის შესახებ სიტუაციური ანალიზის მომზადება	გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის შესახებ სიტუაციური ანალიზი მომზადებულია	იანვარი, 2024	თებერვალი, 2024	- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო - ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო
10.2 გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსიის მომზადება	გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია მომზადებულია	თებერვალი, 2024	მარტი, 2024	- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

				- ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო - ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო
10.3 გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პირველადი ვერსიების საჯარო განხილვა	გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსიების საჯარო განხილვები ჩატარებულია	მარტი, 2024	აპრილი, 2024	- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო - ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო
10.4 გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის და მონიტორინგის ჩარჩოს დამტკიცება.	გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის ჩარჩო დამტკიცებულია	აპრილი, 2024	მაისი, 2024	- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო

				- ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ინდიკატორი	1. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის ჩარჩო შემუშავებული და დამტკიცებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის ჩარჩო შემუშავებული და დამტკიცებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 3. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის ჩარჩო შემუშავებული და დამტკიცებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 4. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის ჩარჩო შემუშავებული და დამტკიცებულია ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 5. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის ჩარჩო შემუშავებული და დამტკიცებულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ			